თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 17

ქ.თერჯოლა 10 დეკემბერი 2025 წელი

ან. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1. სოსო ჩაფიჩაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. სერგი ჯიხვაშვილი, 5.გოჩა ვერულაშვილი, 6. ომარ ჯიხვაშვილი, 7. ბადრი ბუცხრიკიძე, 8. ბიძინა ბუცხრიკიძე, 9. ნინო ოქრუაძე, 10. ზურაბ ჩხიკვაძე, 11. ლაშა ლანჩავა.

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 11
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2026-2030 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 3 დეკემბრის №გ-29-29253378 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282534235, 08/12/2025 წ.);

/მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლის, კოსტავას (ყოფ. გიორგაძის) ქ. №2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 519 კვ^2 მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 33.09.36.099) განთავსებულ შენობაში, 1 სართულზე არსებული 26.320 მ^2 არასაცხოვრებელი ფართი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით გადასცეს სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282534386, 09/12/2025წ.);

/მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე/

3. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №29.292530315 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე/

4. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგზარდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №გ-29.292530313 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს.: ნ. ოქრუაძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპრეოქტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2026-2030 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 3 დეკემბრის №გ-29-29253378 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - დღეის მდგომარეობით, საჭიროა ახალ სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანა, რაც გამოწვეულია ახალი საპროექტო წინადადების დამატებით, კერძოდ:

1. სოფ. ზედა სიმონეთში წყლის სათავე ნაგებობასთან ჭაბურღილის მოწყობა;
2. სოფ. ალისუბანში რობაქიძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
3. სოფ. ეწერში ახალ უბანთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
4. სოფ. ძევრში რობაქიძეები, ვერულაშვილები და ფანჩულიძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
5. სოფ. გოგნში ჭანტურიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია;
6. სოფ. გოგნში ტოფაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია;
7. სოფ. ქვედა სიმონეთში ჩხილაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია;
8. სოფ. ქვედა სიმონეთში ნიკოლაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია;
9. სოფ. ქვედა სიმონეთში ნიკოლაძეები-ხოხიაშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია;
10. სოფ. ბარდუბანში კეზევაძეების უბნიდან სკოლასთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
11. სოფ. სკანდეში ღიბრაძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
12. სოფ. კვახჭირი-ოდილაურის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
13. სოფ.სარბევში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია;
14. სოფ. ოდილაურში გვენცაძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
15. სოფ. ნახშირღელეში ლანჩავების უბნიდან ცენტრალურ გზამდე მისასვლელი გზის რეაბილტაცია.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -11, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპრეოქტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2026-2030 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 3 დეკემბრის №გ-29-29253378 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლის, კოსტავას (ყოფ. გიორგაძის) ქ. №2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 519 კვ^2 მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 33.09.36.099) განთავსებულ შენობაში, 1 სართულზე არსებული 26.320 მ^2 არასაცხოვრებელი ფართი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით გადასცეს სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს - აღნიშნული ფართი ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს გადაცემული ჰქონდა 5 წლით ,ამჯერად ითხოვენ ხელშკრულების ვადის გაგრძელას 2 წლის ვადით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -11, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლის, კოსტავას (ყოფ. გიორგაძის) ქ. №2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 519 კვ^2 მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 33.09.36.099) განთავსებულ შენობაში, 1 სართულზე არსებული 26.320 მ^2 არასაცხოვრებელი ფართი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით გადასცეს სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს.

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №29.292530315 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - კომისიის პერსონალური შემადგენლობიდან გადის ჯემალ ისაკაძე.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -11, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №29.292530315 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ნინო ოქრუაძემ ბიუროს წევრებს გაცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგზარდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №გ-29.292530313 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში შესვლის შესახებ განცხადება გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯემალი ისაკაძემ, ვინაიდან მის რეგულარულ უფლებამოსილებად, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით (ბრძანება№ ბ29.26253323,28.11.2025 წ.), განისაზღვრა საკრებულოს კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მუშაობის კოორდინაცია.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -11, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგზარდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №გ-29.292530313 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 დემკებრის საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე